ნასყიდობის ხელშეკრულება

ქ. თბილისი ___ _____ 2014 წ.

ერთის მხრივ, **სსიპ – ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი** (*შემდგომში,* "გამყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მარინა მესხის სახით, და მეორე მხრივ, **შპს ------** (ს/№-----) მის: ---------- (*შემდგომში-* "მყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის, ---------- (პ/N----------) სახით, თითოეული წოდებული, როგორც "მხარე", ხოლო ერთობლივად, როგორც "მხარეები",

"სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის, "სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბალანსზე რიცხული, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალი) "ძევრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატის" სარგებლობაში არსებული ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და შემდგომი განკარგვის თაობაზე" სსიპ – ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2014 წლის 20 ივნისის N07–94/ო ბრძანების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემგომში - ,,ხელშეკრულება“).

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

,,ხელშეკრულებაში“ გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბრძანება - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბალანსზე რიცხული, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ტერიტორიული ერთეულის (ფილიალი) "ძევრის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პანსიონატის" სარგებლობაში არსებული ამორტიზებული და გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და შემდგომი განკარგვის თაობაზე" სსიპ – ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორის 2014 წლის 20 ივნისის N07–94/ო ბრძანება.

ბ) აუქციონის დასრულების თარიღი - 2014 წლის _____, ბრძანების საფუძველზე გამოცხადებულ ელექტრონულ აუქციონში „მყიდველის“ გამარჯვების თარიღი.

გ) ქონება - ბრძანების დანართით გათვალისწინებულ ამორტიზირებულ და გამოუყენებელ ძირითად აქტივებზე – თერჯოლის რ–ნი, სოფელი ძევრში მდებარე 5 ერთეული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ: 1) #2 საცხოვრებელი კორპუსი; 2) კლუბი–ბიბლიოთეკა; 3) ავტოსადგომი; 4) საქვაბე; 5) აბანო–სამრეცხაო (საკადასტრო კოდი N33.14.35.130) – ***ჩასატარებელი სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად მისაღები მეორადი(ვარგისი) სამშენებლო მასალები (მარაგები)*** *(არაუმეტეს აუდიტორულ დასკვნაში მითითებულ მეორად სამშენებლო მასალათა საერთო ოდენობისა (ხელშეკრულების დანართი #1)).*

დ) საპრივატიზებო თანხა – ამ მუხლის "გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქონების პრივატიზებისთვის, ელექტრონული აუქციონის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო თანხა, რომელსაც იხდის მყიდველი ქონების პრივატიზების მიზნით.

მუხლი 2. ”ხელშეკრულების” საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ბრძანების დანართით გათვალისწინებული ამორტიზირებულ და გამოუყენებელ ძირითად აქტივებზე – თერჯოლის რ–ნი, სოფელი ძევრში მდებარე 5 ერთეული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ: 1) #2 საცხოვრებელი კორპუსი; 2) კლუბი–ბიბლიოთეკა; 3) ავტოსადგომი; 4) საქვაბე; 5) აბანო–სამრეცხაო (საკადასტრო კოდი N33.14.35.130) – ***ჩასატარებელი სადემონტაჟო სამუშაოები, რომელიც მოიცავს*** ქონების დემონტაჟს, დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალების გამოცალკევებასა და მყიდველის მიერ საკუთარი ხარჯებით დემონტაჟის შედეგად მიღებული სამშენებლო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანას. რაც წარმოშობს მყიდველისთვის გადასაცემ ქონებაზე, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების შედეგად, საკუთრების უფლებას.

მუხლი 3. საპრივატიზებო თანხა და მისი გადახდის წესი

3.1. საპრივატიზებო თანხა შეადგენს _____ ლარს. მყიდველი ვალდებულია საპრივატიზებო თანხა სრულად გადაიხადოს ელექტრონული აუქციონის დასრულების თარიღიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

3.2. „მყიდველმა“ საპრივატიზებო თანხის გადახდა უნდა განახორციელოს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ლარებში, ”გამყიდველის” მიერ მითითებულ შემდეგ საბანკო ანგარიშებზე:

სალარე ანგარიში
ანგარიშის დასახელება(მიმღები): სახელმწიფო ბიუჯეტის ცენტრალიზებული შემოსულობები
ანგარიშის ნომერი: №302003282 / ანგარიშის ვალუტა: ლარი
მიმღები ბანკი: საქ. ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური TRESGE22

3.3 ”გამყიდველისათვის” „მყიდველის“ მიერ საპრივატიზებო თანხის გადახდად მიიჩნევა ხელშეკრულების "3.2." პუნქტით განსაზღვრულ საბანკო ანგარიშზე "3.1" პუნქტში მითითებული საპრივატიზებო თანხის ასახვა.
3.4. მყიდველს მის მიერ გადახდილი ,,ბე“ ჩაეთვლება საბოლოო ანგარიშსწორებისას.

მუხლი 4. სადემონტაჟი სამუშაოების შესრულების ვადები
4.1. სადემონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად მყიდველს ეძლევა 100 (ასი) კალენდარული დღე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან;
4.2. მყიდველს სადემონტაჟო სამუშაოების დაწყების უფლება ეძლევა საპრივატიზებო თანხის სრულად დაფარვის მომენტიდან.

მუხლი 5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი
5.1. ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე გამყიდველი ახორციელებს კონტროლს მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“-ს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირები.
5.3.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:
5.3.1. დემონტაჟის შესრულების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
5.3.2. მყიდველის მიერ დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი (ვარგისი) სამშენებლო მასალების და შავი ლითონის რაოდენობის დადგენა;
5.3.3. მყიდველის მიერ საკუთარი ხარჯებით დემონტაჟის შედეგად მიღებული სამშენებლო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანის კონტროლი;
5.3.4 შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის (შუალედური/საბოლოო) შედგენა, შუალედური ან საბოლოო

ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე შუალედური ან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება, ანგარიშსწორების ვადების რეგულირება.

5.3.5. მყიდველის მიერ სადემონტაჟო სამუშაოების დემონტაჟის ორგანიზების პროექტის შესაბამისად განხორციელების კონტროლი.

5.3.6. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

5.4 "5.3" პუნქტში მითითებული ღონისძიებების განხორციელების შემდგომ "5.2" პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ი ადგენს საბოლოო ინსპექტირების დასკვნას და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს სრულყოფილად ჩაბარების შემთხვევაში აფორმებს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს.

5.5. იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო–დემონტაჟი განხორციელდა არაჯეროვნად, არ განხორციელდება სამუშაოს მიღება და არ გაფორმდება საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტი.

მუხლი 6. სამუშაოს(დემონტაჟის) მიღება-ჩაბარების წესი

6.1. სამუშაოს (დემონტაჟის) მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მყიდველის მიერ ფაქტიურად შესრულებული სამუშოს(დემონტაჟის) შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალების მოცულობის (რაოდენობის) შესაბამისად.

6.2. მყიდველი ვალდებულია დემონტაჟის დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გასაფორმებლად უზრუნველყოს გამყიდველის წერილობითი ინფორმირება შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და დემონტაჟის დასრულების შესახებ.

6.3. ხელშეკრულების 5.2. პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ი სამუშაოს შესრულების შედეგად ხელშეკრულების დანართი №1-ით (აუდიტორული დასკვნა) წარმოდგენილ მოცულობებთან/რაოდენობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შემოწმებას, განიხილავს მყიდველის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას შესრულებული სამუშაოს მოცულობის (რაოდენობის) შესახებ უდარებს მონაცემებს შპს ,,ლუსა–აუდიტი“–ის მიერ გაცემულ აუდიტორულ დასკვნას, 10 დღის ვადაში ადგენს საბოლოო ინსპექტირების დასკვნას, რომელშიც მიეთითება:

ა) დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი (ვარგისი) სამშენებლო მასალის და შავი ლითონის საერთო რაოდენობა;

ბ) მყიდველისთვის, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, საკუთრებაში გადასაცემ მეორად (ვარგისი) სამშენებლო მასალათა და შავი ლითონის ჩამონათვალი და რაოდენობა;

გ) გამყიდველის საკუთრებაში დარჩენილი მეორად (ვარგისი) სამშენებლო მასალათა და შავი ლითონის ჩამონათვალი და რაოდენობა;

დ) მყიდველის მიერ საკუთარი ხარჯებით დემონტაჟის შედეგად მიღებული სამშენებლო ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა;

ე) სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო (დემონტაჟი) სრულად შეესაბამება ხელშეკრულების მოთხოვნებს, ხელშეკრულების 5.2. პუნქტით განსაზღვრული პირ(ებ)ი ადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს და ახორციელებს შესრულებული სამუშაოების მიღებას, ხოლო თუ გამოვლინდება, რომ შესრულებული სამუშაო და/ან მოცულობა არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს სადემონტაჟო სამუშაოები, ხოლო საბოლოო დასკვნისა და საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმება განახორციელოს ხარვეზის არმოფხვრიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში.

6.5. გამყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, სიტყვიერი და/ან წერილობითი სახით, აცნობოს მყიდველს საბოლოო შემოწმების შედეგები წუნდებული სადემონტაჟო სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

6.6. სადემონტაჟო სამუშაოს მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს მყიდველი.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. ”მყიდველი” ვალდებულია:

7.1.1. ,,ხელშეკრულების“ გაფორმებიდან 100(ასი) კალენდარული დღის განმავლობაში, უზრუნველყოს თერჯოლის რ–ნი, სოფელი ძევრში მდებარე 5 ერთეული, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებულ: 1) #2 საცხოვრებელი კორპუსი; 2) კლუბი–ბიბლიოთეკა; 3) ავტოსადგომი; 4) საქვაბე; 5) აბანო–სამრეცხაო; შენობა-ნაგებობებზე (საკადასტრო კოდი N33.14.35.130) დემონტაჟის დასრულება და დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო (ვარგისი) მასალების, შავი ლითონისა (მაგრამ არაუმეტეს აუდიტორულ დასკვნაში მითითებული რაოდენობისა) და ნარჩენების ტერიტორიიდან გატანა.

7.1.2. უზრუნველყოს დემონტაჟისათვის აუცილებელი ყველა სანებართვო დოკუმენტაციის მოპოვება შესაბამისი ორგანოებიდან.

7.1.3. სადემონტაჟო სამუშაოები აწარმოოს "დემონტაჟის ორგანიზების პროექტის" (აუქციონის პირობებში წარმოდგენილი დოკუმენტი) სრული დაცვით;

7.1.4. სადემონტაჟო სამუშაოების მიმდინარეობისას, მეორადი (ვარგისი) სამშენებლო მასალების და შავი ლითონის ეტაპობრივად გატანის შემთხვევაში გააფორმოს მიღება–ჩაბარების აქტი.

7.1.5. (ვარგისი) მეორადი სამშენებლო მასალები და შავი ლითონი გაიტანოს მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე და არაუმეტეს აუდიტორულ დასკვნაში მითითებული ოდენობისა.

7.1.6. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, გამყიდველის მოთხოვნისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ასეთი მოთხოვნის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღისა, წარუდგინოს ინფორმაცია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

7.1.7 გონივრულ ვადაში უზრუნველყოს სადემონტაჟო სამუშაოს მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა საკუთარი ხარჯებით.

7.1.8 დემონტაჟის დასრულებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გასაფორმებლად უზრუნველყოს გამყიდველის წერილობითი ფორმით ინფორმირება შესრულებული სამუშაოების მოცულობის და დემონტაჟის დასრულების შესახებ.

7.1.9. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა.

7.2. ”გამყიდველი” ვალდებულია:

7.2.1 შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

7.2.2. ხელი შეუწყოს მყიდველს სამუშაოს შესრულებაში;

7.2.3. ოპერატიულად, სიტყვიერი და/ან წერილობითი სახით, აცნობოს მყიდველს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

7.2.4. დროულად განიხილოს მყიდველის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი.

7.3. მყიდველს უფლება აქვს:

7.1.1.მოითხოვოს დემონტაჟის წარმოების პროცესში მიღებული მეორადი სამშენებლო მასალის ეტაპობრივად გატანა;

7.1.2. მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.4. გამყიდველს უფლება აქვს:

7.3.1. მოითხოვოს საპრივატიზებო თანხის დროული და სრული დაფარვა;

7.3.2. აწარმოოს შესრულებული სამუშაოს ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი;

7.3.3. მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

7.5. ”მხარეები” ვალდებულნი არიან შეასრულონ ”ხელშეკრულებით” ნაკისრი ვალდებულებები ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, ”ხელშეკრულებით” დათქმულ დროსა და ადგილას.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს შვიდი კალენდარული დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 9. ”ხელშეკრულების” განსაკუთრებული პირობები

9.1. მყიდველს აუქციონში გამარჯვების დამდასტურებელ ოქმზე ხელმოწერის ან/და ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმის შემთხვევაში, ასევე, საპრივატიზებო თანხის დადგენილ ვადებში გადაუხდელობისა და ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში წინასწარ გადახდილი "ბე" უკან არ უბრუნდება;
9.2 იმ შემთხვევაში, თუ დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალა აღმოჩნდა აუდიტორულ დასკვნაში მითითებულ რაოდენობაზე ნაკლები, გამყიდველი იხსნის პასუხისმგებლობას რაიმე ფორმით შევსების ან ფულადი კომპენსაციის გაცემასთან დაკავშირებით;
9.3. მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულად შესრულებამდე არ აქვს უფლება ქონება გაასხვისოს, გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად დატვირთოს გამყიდველის თანხმობის გარეშე.

მუხლი 10. მხარეთა პასუხისმგებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მყიდველი იღებს გაფრთხილებას წერილობითი სახით, სადაც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა, გადასახდელი პირგასამტეხლოს ოდენობა და საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები, რომელზეც პირგასამტეხლოს თანხა უნდა იქნას გადახდილი.
10.2. ხელშეკრულების ნასკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო საპრივატიზებო თანხის 0.5%–ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
10.3 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების 10.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების 5%–ს და მხარეები ვერ შეთანხმდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადის გაზრდაზე, გამყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში, ქონება უბრუნდება გამყიდველს. მყიდველს არ უნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები.
10.4. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

11.1. ”მხარეები” თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ”ხელშეკრულებით” განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული გარემოებით. ”ხელშეკრულების” მიზნებისთვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ჩაითვლება გარემოება ან მოვლენა, რომელიც სცდება ”გამყიდველის” ან ”მყიდველის” კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომაც ”ხელშეკრულებით” გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის, და რომელიც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება სტიქიური უბედურებებით, გაფიცვებით, საბოტაჟით და სხვა სახის წარმოების შეფერხებით, სამოქალაქო არეულობით, ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი), ან სხვა სამხედრო, ტერორისტული ან პარტიზანული მოქმედებებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრებით, ზვავებით ან სხვა მსგავსი მოვლენით, რომელიც არ ექვემდებარება იმ ”მხარის” კონტროლს, რომელზეც ასეთი ფორს-მაჟორული მოვლენა ახდენს გავლენას და რომლის თავიდან აცილება ასეთ ”მხარეს” არ შეეძლო.
11.2. ”მხარე”, რომელიც ვერ ასრულებს მის ვალდებულებებს ფორს-მაჟორული გარემოების ან მოვლენის გამო, ვალდებულია, აცნობოს მეორე ”მხარეს” ხსენებული გარემოების ან მოვლენის როგორც დადგომის, ასევე

შეწყვეტის შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა მისი დადგომიდან ან შეწყვეტიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, "მხარე" კარგავს უფლებას, მიუთითოს აღნიშნულ მოვლენებზე და გარემოებებზე, როგორც ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს ფორს-მაჟორული მოვლენის ან გარემოების აღწერა და მათი ზეგავლენა ამ "მხარის" მიერ "ხელშეკრულებით" განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებაზე, ისევე, როგორც ასეთი ვალდებულებების შესრულების დაგვიანების მოსალოდნელი ვადა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის და მათი დადასტურების შემთხვევაში "მხარეების" მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება ფორს-მაჟორული გარემოების ხანგრძლივობის შესაბამისად.

11.4. ვადის ათვლა განახლდება იმ ფორს-მაჟორული გარემოების მოქმედების შეწყვეტის დღიდან, რომელიც წარმოადგენდა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების შეჩერების საფუძველს. ვადის დარჩენილი ნაწილი გადაიწევს შეჩერების ხანგრძლივობის შესაბამისად.

11.5. ფორს-მაჟორული გარემოებების 3 (სამი) თვეზე მეტი ხნით გაგრძელების შემთხვევაში, "მხარეები" უფლებამოსილნი არიან განიხილონ "ხელშეკრულების" შეწყვეტის ან შეცვლილი გარემოებებისადმი მისადაგების საკითხი.

მუხლი 12. შეტყობინებები

12.1. ნებისმიერი შეტყობინება და მიმოწერა მხარეებს შორის უნდა განხორციელდეს წერილობით, ქართულ ენაზე და გადაცემულ უნდა იქნეს პირადად, შეკვეთილი წერილის ან კურიერის მეშვეობით, ქვემოთ მითითებულ მისამართებზე ან სხვა მისამართზე წინასწარი შეტყობინებით.

12.2. ხელშეკრულების 12.1. მუხლის მიზნებისათვის, მხარეთა რეკვიზიტებია:

12.2.1. **"გამყიდველის" შემთხვევაში:**

სსიპ – ადამიანით ვაჭრობის(ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი

მისამართი: თამარაშვილის ქ15ა, თბილისი, საქართველო

ტელ: 2 14 02 20

12.2.2. **"მყიდველის" შემთხვევაში:**

შპს "---------"

ტელ: .....

მის: .....

12.3. "მხარეები" ვალდებულნი არიან შეატყობინონ ერთმანეთს მათ საიდენტიფიკაციო მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების, მათ შორის, მისამართის ცვლილების შესახებ, ამგვარი ცვლილების განხორციელებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძველ მისამართზე გაგზავნილი ნებისმიერი კორესპონდენცია, მათ შორის, წერილობითი გაფრთხილება, ჩაითვლება ჩაბარებულად.

მუხლი 13. დავების გადაწყვეტა

"მხარეთა" შორის დავის არსებობის შემთხვევაში, სადავო საკითხი წყდება "მხარეთა" შორის შეთანხმებით. ასეთი შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას წყვეტს საქართველოს საერთო სასამართლოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ერთი მხარის მიერ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.1.5 ხელშეკრულების 10.3 პუქტით გათვალისინებული შემთხვევის დადგომისას.

მუხლი 15. სხვა დებულებები

15.1. ”ხელშეკრულებაში” ნებისმიერი ცვლილების ან დამატების შეტანა დასაშვებია ”მხარეთა” წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რომელიც გაფორმდება, როგორც ცალკე ხელშეკრულება.
15.2. ”ხელშეკრულების” ყველა ცვლილება/დამატება და/ან დანართი წარმოადგენს ”ხელშეკრულების” განუყოფელ ნაწილს. მისთვის დაცული უნდა იყოს იგივე ფორმა, რაც გათვალისწინებულია ”ხელშეკრულებისთვის”.
15.3. ”ხელშეკრულების” ცალკეული პუნქტების გაუქმება და/ან ბათილობა არ იწვევს ”ხელშეკრულების” სხვა პუნქტების გაუქმებას და/ან ბათილობას.
15.4. ”ხელშეკრულება” გაფორმებულია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა ”მხარეებს” (3 –გამყიდველს და 1–მყიდველს).
15.5. ხელშეკრულება ძალაში შედის ”მხარეთა” მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ”გამყიდველის” მიერ ”მყიდველის” ”ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების დადასტურების მომენტამდე და/ან ”ხელშეკრულების” სხვა საფუძვლით შეწყვეტამდე.

„ გამყიდველი“	„მყიდველი“
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი“ მის: თამარაშვილის ქ. №15ა სახელმწიფო ხაზინა ს/კ # 205169592 კოდი # TRESGE22 ა/ა # GE24NB0330100200165022 **მარინა მესხი** _____ დირექტორი	